საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 0 23 01957378

07/07/2023

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
ძველი-თბილისის სანებართვო განყოფილება-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)(მოვალეობის შემსრულებელი)
ქალბატონ **დიანა გუგეშაშვილს**

ქალბატონო დიანა,

თქვენი 2023 წლის 5 ივლისის N60-01231863517 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.03.068.003) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურულ პროექტზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 22 მარტის N MIA 6 23 00812690 წერილით გაიცა შესაბამისობის დასკვნა.
ამჟამად წარმოდგენილი ცვლილებებით (-4.00 ნიშნულის სართილზე მოხდა დაკაებული სივრცის გაუქმება. აღნიშნული წარმოადგენდა -7.50 ნიშნულის სართულზე მდებარე ტექნიკური სათვსის ზედა სივრცეს სადაც ფილა არ ისზმება(აღნიშნული ხარვეზი მხოლოდ არქ. გეგმებში იყო დაშვებული) ასევე კორიდორის რამოდენიმე ნაწილში დაემატა კარები.დამეატე -3 სართული -11.0 ნიშნულზე, სადაც განთავსებულია ტექნიკური სივრცეები და საწყობები. -2 სართულზე, ნიშნული -7.50, არსებული სართულის სიმაღლე გაიზარდა 0.30 მ-ით ასევე დამეატა 5 ღეძის მხარეს ტენიკური დანაგდარების სივრცე) **არ დარღვეულა** სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, რომელთა პროექტები **სამი თვის** ვადაში წარმოდგენილი იქნეს განსახილველად. კერძოდ:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი;

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

დ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი;
ე) შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ტექსტური შეტყობინების, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემებისა და ავარიული განათების მოწყობის პროექტი.
ვ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტი;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტი;
თ) შენობის ელექტროდანადგარების სისტემების მოწყობის პროექტი.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების
მართვის სამსახური
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 3 23 01703516

15/06/2023

შპს "ოლდ სითი გრუპი"-ს დირექტორს
გიორგი თავდიშვილს
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას N3, ბინა 9
ფაქტობრივი ადგილსამყოფელი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 76ა
ტელ: 243 53 53; 243 14 14

ასლი: ხათუნა ონაშვილს
Lawyer Ameri Development LTD 76a,
Kostava str 0171, Tbilisi, Georgia Tel: +995 32 243 53 53, +995 32 243 14 14
Mob: +995 599 10 80 10
khatuna.onashvili@ameri.ge

ბატონო გიორგი,

თქვენი 2023 წლის 14 ივნისის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი N1692643; 14.06.2023) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური თანახმაა, ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.03.068.003) მრავალფუნქციური შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტები განსახილველად წარმოდგენილი იქნეს 6 თვის ვადაში.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების
მართვის სამსახური
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი

შპს „ოპტიმუსი“

ქ.თბილისი, ლადო ასათიანის N22-ში (მიწის ს/კ 01.18.03.068.003) საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო შეფასება

საექსპერტო შეფასება



თბილისი

2023 წ.

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
“ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა”

პროექტირება, მშენებლობა, სამშენებლო ექსპერტიზა

ქ.თბილისი 17 მარტი 2023 წ.

ქ.თბილისი, ლადო ასათიანის N22-ში (მიწის ს/კ 01.18.03.068.003) საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო შეფასება

საექსპერტო შეფასება

ობიექტის მისამართი - ქ.თბილისი, ლადო ასათიანის N22 (მიწის ს/კ 01.18.03.068.003);

ექსპერტიზის სახე - საინჟინრო ექსპერტიზა;

შენობის სტატუსი/კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - საპროექტო/IV კლასი

ექსპერტიზის დამნიშნავი ფიზიკური/იურიდიული პირი – შპს “ოლდ სითი გრუპი“

შემსრულებელი ექსპერტი – გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251) შპს „ოპტიმუსი“-ს (ს/კ 404420998) დირექტორი, ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი. საინჟინრო ექსპერტიზის სფეროში მუშაობის გამოცდილება 12 წელი (2010 წლიდან), სამშენებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება - 37 წელი (1985 წლიდან).

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები – ქ.თბილისი, ლადო ასათიანის N22-ში (მიწის ს/კ 01.18.03.068.003) საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო შეფასება შესაბამისი დასკვნის მომზადება.

ექპერტიზაზე წარმოდგენილი ან/და ექსპერტის მიერ მოძიებული დოკუმენტაცია - 1) პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილები; შენობის სივრცითი კარკასის საანგარიშო მოდელი, მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, მისი საექსპერტო შეფასება, მიწის ნაკვეთის ტოპო-გეგმა;

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:
1) სნ და წ. პნ 01.01-09 “სეისმომედეგი მშენებლობა”

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

2) სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები"

3) СНиП 2.02.01-83 Основания зданий и сооружений;

4) სამშენებლო ნორმები და წესები 2.03.01-84 „ბეტონი და რკ/ბეტონის კონსტრუქციები"

5) СНиП 2.01.07-85* "Нагрузки и воздействия"

კვლევა - ჩემს მიერ, კვლევა ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე განთავსებულ მშენებარე, მრავალფუნქციური შენობა/კომპლექსს ქ. თბილისი, ლადო ასათიანის N22-ში (ს/კ 01.18.03.068.003) შპს "ოლდ სითი გრუპი"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე IV კლასის საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა 6 სართულიანია, 2 მიწისქვეშა სართულით;

მიწისქვეშა სართული სართულების სიმაღლეები შეადგენს 3.50 - 3.50 მ-ს; I სართულის სიმაღლე 4.00 მ; დანარჩენი მიწისზედა სართულების სიმაღლე შეადგენს 3.15 მ-ს;

საპროექტო შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომები შეადგენს 23.950X43.32 მ-ს.

შენობის სვეტების მაქსიმალური ბიჯი გრძივი და განივი მიმართულებით შეადგენს: 7.80 მ-ს; კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა (მიწის ზედაპირიდან 10 მ. სიმაღლეზე) შეადგენს 50 კგ/მ2; თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა 50 კგ/მ2.

შენობის საძირკვლების კონსტრუქციად მიღებულია ნაბურღნატენი ხიმინჯები (D=1000 მმ.) რომელიც შეკრულია 0.80 მეტრის სისქის საძირკვლის ფილით. საძირკვლის ფუძეს წარმოადგენს ძირითადი ქანები ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა.

შენობის პირობით ნიშნულად ±0.00 მიღებულია I სართულის იატაკის დონე, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს ±0.00 = 421.70 მ.

კვლევის ეტაპზე ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია ±0.00 ნიშნულის სართულშიუა გადახურვის ფილაზე. მიმდინარეობს პროექტის კორექტირება. სამშენებლო სამუსაოები შეჩერებულია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომელთა მიერ შენობის შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევები შემდეგი სახისაა:

-7,20 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე, „გ-დ" „7-8" მონაკვეთში იატაკის ფილაში მოწყობილია ღიობი, ნაწილობრივ შეცვლილია კოლონებისა და რიგელების ადგილმდებარეობა, „ა-დ" მონაკვეთში შეცვლილია „8" ღერძზე არსებული მონოლითური

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

კედლის ადგილმედებარეობა, კერძოდ მოწყობილია ღერძის გარეთ, რითაც გაზრდილია შენობის გაბარიტი, ამავე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები, რიგელები და ფილა. დაწნევადი კიბის უჯრედში „8“ ღერძის გარეთ შეცვლილია ფილის დონე და არსებული მონოლითური კედლის ადგილმდებარეობა, ასევე დამატებით მოწყობილია ფილა, შახტები. „დ-ე“ „5-6“ მონაკვეთში მონოლითური კედელში მოწყობილია კედელი, სამშენებლო ღობე ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზრვრებს, დემონტირებილია არსებული სარდაფის კედლები.

ჩემს მიერ, დატალური შედარება ჩაუტარდა ექსპერტიზაზე წარმოდგენილ კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილსა და ფაქტობრივად ჩატარებულ სამშენებლო სამუშაოებს. მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომელთა გამოვლენილ დარღვევებს, ასევე გადამოწმდა შენობის მზიდ კონსტრუქციები, მათი ფაქტიური ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით. დავადგინე, რომ გამოვლენილი დარღვევები ეხება შენობის მზიდი კონტრუქციების და მათი შემადგენელი ელემენტების ცვლილებას - აღნიშნული ცვლილებები, რომელიც პირდაპირ კავშირშია შენობის მდგრადოვასთან. გავარკვიე, რომ ცვლილებები ჩატარებულია პროექტის კონსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, წინასწარი გათვლებისა და ანგარიშების საფუძველზე მომზადებული მუშა ნახაზების მიხედვით, რაც საბოლოოდ ასახულია ექსპარტიზაზე წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში, ანუ შეიძლება დავასკვნა, რომ აღნიშნული შენობის ფატქიური მზიდი კონსტრუქციების მშენებლობა განხორციელებულია კონსტრუქციულ პროექტის შესაბამისად, რომელიც შედგენილია სივრცითი მოდელის საანგარიშო სქემა პროგრამული კოპლექსი “ЛираСапр2013”-ის მეშვეობით სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. გამომდინარე აქედან შემიძლია დავასკვნა, რომ სამშენებლო შენობის მზიდი კარკასის სამშენებლო სამუშაოები შეესაბამება ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აღნიშნული დარღვევები შნობის ტექნიკურ მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენენ.

შენობის მზიდი კეონტრუქციების დათვალიერებამ აჩვენა, რომ მათი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში არსებულ სამშენებლო ნორმატიული რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რაც განაპირობებს შენობის მდგარდობასა და მის შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: **+995 595 902225;** email:g.chankvetadze@optimusi.ge

დასკვნა - ქ.თბილისი, ლადო ასათიანის N22-ში (მიწის ს/კ 01.18.03.068.003) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მშენებლობის დროს გამოვლენილი დარღვევები/ცვლილებები ნაწარმოებია წინასწარ დამუშავებული კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით, კონსტრუქტორის მეთვალყურეობის ქვეშ, მის შესაბამისად, რაც განაპირობებს მის საიმედოობას, მდგრადობას და შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას. გამომდინარე აქედან აღნიშნული დარღვევები შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად არ იმოქმედებენ და პროექტის კორექტირებას, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად, ერთმნიშნელოვნად დადებითი შეფასება ეძლევა.

შპს „ოპტიმუსი“-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: **+995 595 902225;** email:g.chankvetadze@optimusi.ge

საქართველოს რესპუბლიკა

დიპლომი № 010494



მიეცა გაიოზ გიორგის ძე
ჭანკვეტაძეს

მასზე, რომ ის 19 82 წელს შეიცდა საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტში

და 1994 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტის სრული კურსი
საინჟინრო და საშოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის
16 ივნისის გადაწყვეტილებით
გ.გ. ჭანკვეტაძეს მიენიჭა ინჟინერ
მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

ქალაქი თბილისი, 1994წ. 16 ივნ

სარეგისტრაციო № 1477

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი:	**გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251);**
დაბედების ადგილი/თარიღი:	ქ.თბილისი 07.12.1968 წ.
მისამართი:	ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1;
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული;
ტელ:	+995 595 90 22 25; +995 557 90 22 00;
E-mail	g.chankvetadze@gmail.com

განათლება

1974-1985 ქ.თბილისის 1-ლი საშ.სკოლა;
1986-1994 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ფაკულტეტი - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; კვალიფიკაცია-მშენებელი ინჟინერი;

1999-2003 უნივერსიტეტი -„ლეგია და კომპანია“ იურიდიული ფაკულტეტი. კვალიფიკაცია - იურისტი;

სამუშაო გამოცდილება:

1985-1987 №5-ე სახლმშენებელი კომბინატი 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1987-1989 ყოფილი საბჭოთა კავშირის არმია, საინჟინრო ჯარები;

1989-1991 სამშენებლო ტრესტი „ინჟმშენი“ 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1991-1994 მრავალდარგოვანი საწარმო „პემ“-ი სამშენებლო უბნის უფროსი;

1995-1999 შპს „დარბაზნი“კონსტრუქტორთა ჯგუფის უფროსი;

1999-2002 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია. მთავარი სპეციალისტი;

2003-2005 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროსი.

2005-2008 კერძო ბიზნესი - სამშენებლო-საპროექტო სფერო.

2006-2008 ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური - არქიტექტურული და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება. მთავარი სპეციალისტი;

2009 წლის იანვარი-მარტი - ქ.თბილისის, მერიის სამოქალაქო ინტეგრაციის (თბილისის კორპუსი) საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

2009 წლის მარტი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის, მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

2009 წლის მარტი - სექტემბერი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

2010 წლის მარტი - ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს სსიპ „თბილისი უძრავი ქონება“ - დირექტორი;

2009-2012 შენობა-ნაგებობების დიაგნოსტიკის ცენტრი შპს „კრუგი“-ს მენეჯერი - ექსპერტი შენობა-ნაგებობათა დიაგნოსტიკის განხრით;

2012წ დღემდე საპროექტო-სამშენებლო-საექსპერტო კომპანია შპს„ოპტიმუსი“-ს დამფუძნებელი, დირექტორი;

2010 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაკვეთებით შესწავლილი მაქვს 900 ერთეულამდე ავარიული ან/და სარეკონსტრუქციო 1-ლი, მე-2 , მე-3 და მე-4 კლასის შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი ტექნიკური, საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. ამასთან თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კომპანია შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ დაპროექტებულ 800-ზე მეტი 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასის შენობების არქიტექტურული პროექტებისთვის მომზადებული მაქვს კონსტრუქციული ნაწილები.

თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაცემულია რამოდენიმე ასეული დასკვნა სადემონტაჟო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვ. სამუშაოების მიმდებარე შენობებზე ზემოქმედებასა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული სისტემის საექსპერტო შეფასების შესახებ.

ჩემს მიერ, თბილისში მომზადებულია რამოდენიმე ათეული მე-4 კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი და მრავალფუნქციური შენობების, კომპლექსების, სახელმწიფო უწყების შენობებისთვის პროექტის კონსტრუქციული ნაწილები.


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
გაიოზი
GAIOZ
გვარი / LAST NAME
ჭანკვეტაძე
CHANKVETADZE
ქვეყ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01017024251
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
07.12.1968
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
07.06.2026
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
15IB72448


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
07.06.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2015
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE015IB72448801017024251<<<<
6812078M2606071GE0<<<<<<<<<<<9
CHANKVETADZE<<GAIOZ<<<<<<<<<<<

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5003781822

№ 5003781822

10/06/2022 წ.

შპს „ოლდ სითი გრუპი"-ს დირექტორს ბატონ გიორგი თავდიშვილს

(კოსტავას 76ა)

ბატონო გიორგი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2022 წლის 20 მაისის რეგისტრაციის N1003437522) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N003817522 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484

5003781822

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 10.06.2022 (ხელმოწერა) გ.ა

003817522

ექსპერტის დასკვნა № 003817522

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ოლდ სითი გრუპი

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: კოსტავას 76ა

სახელი და გვარი: გიორგი თავდიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ანატოლი გოგოხია / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 48 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

მოგახსენებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვების საფუძველზე კომპანია აწარმოებს მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას მისი საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა #22, საკადასტრო კოდი: 01.18.03.068.003.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 მაისის განჩინებით (საქმის ნომერი: 3/2924-22) შეჩერებულ იქნა მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ყველა ადმინისტრაციული აქტის მოქმედება ადმინისტრაციულ საქმეზე კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რამაც შედეგადაც გამოიწვია მიმდინარე მშენებლობის შეჩერება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ქვაბული ამოღებულია და მიმდინარეობს საძირკვლისა და კედლების ჩამოსხმა (ფოტო მასალა თან ერთვის), გთხოვთ, მოახდინოთ ფართის ადგილზე დათვალიერება შეაფასოთ არსებული მდგომარეობა და გასცეთ შესაბამისი დასკვნა შემდეგ საკითხზე:

1. წარმოადგენს თუ არა საფრთხეს მშენებლობის შეჩერება და ქვაბულის ამ ფორმით დატოვება მიმდებარე ტერიტორიისთვის და მომიჯნავე შენობებისთვის.

შემოსვლის თარიღი: 20/05/2022 წ

გასვლის თარიღი: 10/06/2022 წ

დასკვნა

ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქ. #22-ში ს/კ: 01.18.03.068.003 მდებარე ქვაბული დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ვინაიდან მისი გამაგრების გარკვეული სამუშაოები შესრულებულია, ასევე მოწყობილია საპროექტო შენობის კონსტრუქციის ნაწილი. აუცილებელია სამშენებლო სამუშაოები დასრულდეს მაქსიმალურად უმოკლეს ვადაში, რადგან გაუმაგრებელი ფერდის არსებული მდგომარეობით დატოვება ხანგრძლივი პერიოდით იქნება საფრთხის შემცველი მიმდებარე ტერიტორიისთვის და მომიჯნავე შენობებისთვის.

003817522

ექსპერტის დასკვნა № 003817522

ანატოლი გოგოხია

გამოკვლევა

ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო იყო ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა #22-ში ს/კ 01.18.03.068.003 მდებარე ქვაბულის არსებული მდგომარეობის შესწავლა. ამ მიზნით მ/წლის 09 ივნისს დამკვეთის წარმომადგენელთან ერთად შესწავლილი იქნა აღნიშნული ქვაბული.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ქვაბულის სამი გვერდის გასამაგრებლად მოწყობილია რკინაბეტონის ხიმინჯების მწკრივი რომელიც შეკრულია როსტვერკებით, ხოლო მეოთხე გვერდი წარმოადგენს მცირე დახრილობის გრუნტს, რომელიც გაუმაგრებელია (ფოტო 1-:-3). გრძივი მიმართულების გვერდები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლითონის მილით (ფოტო 4; 5). ქვაბულის დამჭერი კონსტრუქციის ერთი გვერდის მცირე მონაკვეთი გამაგრებულია ლითონის ორტესებრი გამბრჯენებით, რომელიც ერთ მხარეს ჩამაგრებულია მთის მასივში, აღნიშნულ ლითონის გამბრჯენებს აღენიშნება დეფორმაციები (ფოტო 6; 7).

წარმომადგენლის გადმოცემით ბოლო დროს მომხდარი მიწისძვრების შედეგად, მცირე დახრილობის მთის მასივის ლოკალურ მონაკვეთს გაუჩნდა ბზარი, რის გამოც მოეწყო დამატებითი გამბრჯენები ლითონის მილებით (ფოტო 9). გაუმაგრებელი გვერდის გასწვრივ პირველ ეტაპზე მოეწყო საპროექტო შენობის კონსტრუქციის ნაწილი, კერძოდ საძირკვლის ფილა და ერთი სართულის კედლები (ფოტო 10). დღევანდელ მდგომარეობაში, გამაგრების გარეშე დარჩენილი ფერდის ლოკალური მონაკვეთი განიცდის რღვევას, ის საფრთხის შემცველია.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქ. #22-ში ს/კ: 01.18.03.068.003 მდებარე ქვაბული დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ვინაიდან მისი გამაგრების გარკვეული სამუშაოები შესრულებულია, ასევე მოწყობილია საპროექტო შენობის კონსტრუქციის ნაწილი. აუცილებელია სამშენებლო სამუშაოები დასრულდეს მაქსიმალურად უმოკლეს ვადაში, რადგან გაუმაგრებელი ფერდის არსებული მდგომარეობით დატოვება ხანგრძლივი პერიოდით იქნება საფრთხის შემცველი მიმდებარე ტერიტორიისთვის და მომიჯნავე შენობებისთვის.

ანატოლი გოგოხია

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003
2. სნწ პნ. 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“
3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10

INFO@EXPERTIZA. GOV.GE

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave. Tbilisi 0162
ქუთაისი 4600, ჭავჭავაძის ქ. №2ა
Chavchavadze str #2a Kutaisi 4600
ბათუმი 6000, მელიქიშვილის ქ. №102

(995 32) 225 84 84
info@expertiza.gov.ge

კონსტრუქციული დასკვნა
ქ. თბილისში, ლადო ასათიანის #22 (ს/კ 01.18.03.068.003) მშენებარე
მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის შესახებ.

შპს „სტუდია 9"-თან 2020 წლის 18 ივლისს დადებული ხელშეკრულების მიხედვით - საპროექტო დავალების, პროექტის არქიტექტურული ნაწილის და საინჟინრო გეოლოგიური კვლევის საფუძველზე, შპს „კაპიტელის" მიერ დამუშავდა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

განსახილველ ობიექტს ჩრდილოეთით ესაზღვრება მთის ციცაბო ფერდი, რომელიც წარმოადგენს ძირითად ქანებს (ქვიშაქვების და ფიქლების მორიგეობა), რომლის შესახებ გთავაზობთ ამონარიდს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევიდან:

არსებულ გაშიშვლებებზე გაიზომა ძირითადი ქანების წოლის ელემენტები, რომლებიც შემდეგია: დაქანების აზიმუტი – ჩრდილო-აღმოსავლეთი 6–8°, დახრის კუთხე 7–10°. ამ მონაცემების მიხედვით ისინი დატანილია უბნის გეოლოგიურ ჭრილებზე.

9. ქვაბულის და თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მეოთხეული საფარი გრუნტებისთვის მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87 ც.ც 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ძირითადი ქანებისთვის დახრა მიღებული იქნეს – 80°.



ქვაბულის დამუშავებისას სამშენებლო ორგანიზაციამ შენიშნა ჰორიზონტალური ბზარი ძირითად ქანებში, რომელიც სავარაუდოდ გამოიწვია ძირითადი ქანის დამუშავებისას ვიბრაციებმა. შპს „კაპიტელის" კონსტრუქტორთა ჯგუფმა შეაჩერა ქვაბულის შემდგომი დამუშავება და შეიმუშავა კონსტრუქციული ღონისძიება ახალი გარემოების გათვალისწინებით, რაც გამოიხატა დროებითი საბჯენი კონსტრუქციების მოწყობით და ასევე პროეტის კონსტრუქციული ნაწილის კორექტირებით, რომელიც მოიცავს სქემების და კონსტრუქციების დაარმატურების ნახაზების შეცვლას - შეცვლილი საანგარიშო მოდელის ანგარიშის საფუძველზე. ანგარიშისას გათვალისწინებულია ჩრდილოეთს ფერდიდან ჰორიზონტალური დატვირთვის დამატება „8[1]" ღერძის გასწვრივ მდებარე კედლის კონსტრუქციაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საყრდენ კედლად, რომელზეც მოსული დატვირთვა ნაწილდება მთელ შენობაზე (შენობაზე მოსული დატვირთვის ოდენობა განვსაზღვრეთ 1700 ტონით, ანუ 1 მ^2-ზე 7 ტ-ით).

tel. 2 37 99 40, 2 37 99 30. 2 37 99 00. E-mail - capiteli@ymail.com. www.capiteli.com

ფერდთან მიმართებაში სამშენებლო სამუშაოების წარმოება უნდა ჩატარდეს სამ ეტაპად:
I ეტაპი:
შესრულდეს კორექტირებული პროექტის მიხედვით სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები, რომლის ერთი ნაწილი („6-8[1]“ ღერძებს შორის 0,00 მ. ნიშნულამდე) უკვე შესრულებულია და აუცილებელია სასწრაფოდ გაგრძელდეს დანარჩენი სამუშაოები, რათა ფერდის და ნაგებობის მდგრადობა და საიმედობა იყოს დაცული.



tel. 2 37 99 40, 2 37 99 30. 2 37 99 00. E-mail - capiteli@ymail.com. www.capiteli.com

II ეტაპი:
ფერდის (იხ. სურათი) ქვედა ნაწილზე, კორექტირებული პროექტის შესაბამისად, მოეწყოს ნაშალის გაწმენდითი სამუშაოები, ანკერები, არმატურის ბადე და ზედაპირი დაიფაროს ტორკრედბეტონით. ამ შემთხვევაში ფერდის ზედაპირზე არსებული ბზარები დაიკერება ანკერების (ანკერის სიგრძე 1,5 მ, ბიჯი 1,0*1,0 მ), ხოლო არმირებული ტორკრედბეტონი დაიცავს ფერდის ზედაპირს ატმოსფეროს ზეგავლენისგან.
III ეტაპი:
ფერდის (იხ. სურათი) ზედა ნაწილზე, კორექტირებული პროექტის შესაბამისად, მოეწყოს ნაშალის გაწმენდითი სამუშაოები, ანკერები და მავრთულის ბადე. ამ შემთხვევაში ფერდის ზედაპირზე არსებული ბზარები დაიკერება ანკერების (ანკერის სიგრძე 1,0 მ, ბიჯი 1,0*1,0 მ), ხოლო მავრთულის ბადე დაიცავს ნაგებობას ქვათაცვენისგან.



დასკვნა:

ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქ. თბილისში, ლადო ასათიანის #22 (ს/კ 01.18.03.068.003) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად რაც შეიძლება მოკლე ხანებში, რათა დაცული იქნას მიმებარე ფერდის მდგრადობა.

tel. 2 37 99 40, 2 37 99 30. 2 37 99 00. E-mail - capiteli@ymail.com. www.capiteli.com

P.S. რაც შეეხება ბატონი რობერტ დიაკონიძის საექსპერტო დასკვნას.
შპს „კაპიტელის“ კონსტრუქტორთა ჯგუფი მივიჩნევთ, რომ ზემოთ აღნიშნული საექსპერტო დასკვნა მიუღებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. განსახილველ ტერიტორიაზე ჩატარებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ 2019 წლის დეკემბერ-იანვარში, რომლის შესაბამისად დამუშავდა პროექტი, რომელსაც იწუნებს ბატონი ექსპერტი. ამ შემთხვევაში ჩვენი აზრით უნდა დაეყრდნოს ალბათ ალტერნატიულ საინჟინრო-გეოლოგიურ ან სხვა დასაბუთებულ კვლევას და არ გააკეთოს ზერელე დასკვნა. ის რომ გაშიშვლებული ძირითადი ქანები ატმოსფერული ზემოქმედებისგან განიცდიან ეროზიას ცნობილი ფაქტია და მათი საწინააღმდეგო ღონისძიება გათვალისწინებულია კორექტირებულ პროექტში.
   ასევე ჩვენთვის მიუღებელია სხვა კოლეგების (მაგ. ლევან სახარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომელიც მოხსენიებული აქვს „სამხარაულის ბიუროთი“) დაუსაბუთებელი და ზერელე კრიტიკა.
2. ქ. თბილისში, ლ. ასათიანის ჭუჩა #22-ში მიმდინარე დამტკიცებული საპროექტო ფორმით მრავალფუნქციური მშენებლობის განხორციელება ყოვლად დაუშვებელიავინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს გეოდინამიკური პროცესების (ეროზია, ქანების დეფორმაცია და კლდის ნაწილის ჩამოშლა).
   შენობა, რომელიც დაფუძნებულია ძირითად ქანებზე და რომლიც მაღალი დეფორმაციის მოდულის გამო წარმოადგენენ პრაქტიკულად უკუმშვად ქანს, როგორ შეიძლება გამოიწვიოს მასზე აგებულმა შენობამ გეოდინამიკური პროცესები - მაგალითად ქანის დეფორმაცია (მაშინ როცა ჭიმვა ფუძეში არ აღემატება 1,5 კგძ/სმ^2) ან ეროზია და კლდის ნაწილის ჩამოშლა რა შუაშია შენობის მშენებლობასთან?
3. პასუხი ცალსახად ნეგატიურია. არსებული მშენებლობის შეჩერება საფრთხეს კი არ წარმოადგენს, პირიქით, პროექტით გათვალისწინებულმა, დაგეგმილმა აშენებამ უკვე გამოიწვია და შეიძლება კიდევ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დამატებითი საფრთხეები.
   ზემოთ დაწვრილებით ავღწერეთ სამშენებლო მოედანზე განვითარებული მოვლენები. ამდენად ამ კითხვას აღარ დავუბრუნდებით. ერთს ავღნიშნავთ მხოლოდ - მშენებლობა აუცილებლად უნდა დასრულდეს დროზე, რათა დამატებითი საფრთხეები იყოს თავიდან აცილებული.
4. ბატონი ექსპერტი ძალიან არის შეწუხებული კონკრეტული სამშენებლო მოედნის ფერდის მდგომარეობით, ამ დროს არაფერს აღნიშნავს სხვა შენობებზე, რომლებიც ამ ფერდის გასწვრივ არის განლაგებული, იქაც ხომ იგივე პრობლემებია ეროზიის და კლდის ნაწილის ჩამოშლის კუთხით, ჩვენი შემთხვევიდან განსხვავებით არც რაიმე ღონისძიებებია გატარებული. რატომ?

პატივისცემით,

შპს „კაპიტელის“ დირექტორი: ზ. ოქროშიძე

ლ. კურტანიძე

პროექტის მთ. კონსტრუქტორი: ა. კორტავა

თბილისი, 2023 წლის 10 თებერვალი

tel. 2 37 99 40, 2 37 99 30. 2 37 99 00. E-mail - capiteli@ymail.com. www.capiteli.com

საგადახდო დავალება
Payment Order

1671454774

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 19/12/2022

გადამხდელი / Sender

შპს ოლდ სითი გრუპი, 405280306

რეფერენსი / Ref. Num.

8509003924

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE91TB7379136050100002

თანხა / Amount

10,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ათი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს ოლდ სითი გრუპი, 405280306*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 405280306

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

19/12/2022

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა

Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება N 003292, 15.12.2022 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში

ბ.ა.

ამონაწერი შეიცავს ბანკის მიერ დაუავტორიზებელი (დაუსრულებელი) ტრანზაქციების (საბანკო ოპერაციების) შესახებ ინფორმაციას, რომელიც დამუშავების პროცესშია. შესაბამისად, ინფორმაცია შესაძლებელია შეიცვალოს.

ხელმოწერები
Signatures

Statements contain transactions that are waiting for authorisation or are processing within bank. Information might change.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/1949-22
"15" 12 2022 წ.

დადგენილება №003292
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

15.12.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, მამუკა ჯაყელმა, განვიხილე, 2022 წლის 25 ოქტომბრის №003292 მითითება და 2022 წლის 16 ნოემბრის №003292 შემოწმების აქტი შედგენილი შპს „ოლდ სითი გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო №405280306; მის.: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №3, ბინა №9) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ქუჩა ლადო ასათიანი, №22, №01.18.03.068.003 საკადასტრო კოდზე, შპს „ოლდ სითი გრუპი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №5002567 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით (მშენებლობის ნებართვა №5072966 ბრძანება, 20.08.2020წ), კერძოდ: გეგმა -7.20 ნიშნულზე: გაზრდილია სართულის სიმაღლე. „გ-დ" „7-8" მონაკვეთში იატაკის ფილაში მოწყობილია ღიობი. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების და რიგელების ადგილმდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი და რაოდენობა. "ა-დ" მონაკვეთში შეცვლილია „8" ღერძზე არსებული მონოლითური კედლის ადგილმდებარეობა, კერძოდ მოწყობილია ღერძის გარეთ, რითიც გაზრდილია შენობის გაბარიტი. ასევე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები, რიგელები და ფილა. დაწნევადი ტიპის უჯრედში „8" ღერძის გარეთ შეცვლილია ფილის დონე და არსებული მონოლითური კედლის ადგილმდებარეობა, ასევე დამატებით მოწყობილია ფილა. დამატებით მოწყობილია შახტები. „დ-ე" „5-6" მონაკვეთში მონოლითურ კედელში მოწყობილია ღიობი. სამშენებლო ღობე ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს. დემონტირებულია არსებული სარდაფის კედლები.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2022 წლის 25 ოქტომბერს, გაიცა №003292 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა და დაევალა განხორციელებული სამუშაოების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ან ობიექტის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

2022 წლის 16 ნოემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა №003292 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2022 წლის 07 დეკემბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომაზე მხარე არ გამოცხადდა.

2022 წლის 15 დეკემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ შპს „ოლდ სითი გრუპი"-ს ს მიერ კვლავ არ იქნა შესრულებული მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 25 ოქტომბრის №003292 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა და 2022 წლის 14 დეკემბერს წარმოდგენილი №10/01223481051-17 განცხადება, რომლითაც მხარე ითხოვს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებას, მათი დასწრების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს „ოლდ სითი გრუპი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ქუჩა ლადო ასათიანი, №22, №01.18.03.068.003 საკადასტრო კოდზე, განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №5002567 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. **შპს „ოლდ სითი გრუპი"** დაჯარიმდეს 10 000 (ათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქუჩა ლადო ასათიანი, №22, №01.18.03.068.003 საკადასტრო კოდზე, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით III ეტაპის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური შენობა) მშენებლობისათვის;

2. შპს **„ოლდ სითი გრუპი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შპს „ოლდ სითი გრუპი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მამუკა ჯაყელი

№ 06/20-0423699 D 30.07.2020

შპს „ოლდ სითი გრუპი“
ელ-ფოსტა: Khatuna.onashvili@ameri.ge
ტელეფონი: 599 10 80 10

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN20-0422393, დათარიღებული 20/07/2020წ.) ლადო ასათიანის ქ. N22-ში (ს/კ 01.18.03.068.003) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული მისამართის მიმდებარედ გაედინება „კომპანიის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენის D=50 მმ-იანი, D=250 მმ-იანი, D=600 მმ-იანი, წყალარინების D=250 მმ-იანი და D=800 მმ-იანი ქსელები, რომელთა მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს: მთაწმინდა-კრწანისის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი თემურ წითლიძე. ტელ: 599 58 98 67.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალიანი, გ. მურღულია
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (21 02)


საპროექტო
შენობა
ს.კ. №01.18.03.068.003
33.90
310.5 m²
3კს
2კს
1.36
0.37
gwp
ტელ: 032 2 93 11 11
417.89
417.05
416.09
415.54
418.33
417.84
417.32
418.27
417.97
417.34
416.11
416.23
416.35
416.37
418.45
417.87
417.69
416.79
416.91
418.52
417.96
418.55
418.95
418.54
419.30
417.31
417.93
418.24
419.23
419.92
419.88
419.98
420.09
420.12
420.60
420.67
421.44
421.40
421.19
421.48
425.77

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 01-01-36358-20
30-07-2020

შპს „ოლდ სითი გრუპის“
დირექტორს ბატონ გიორგი თავდიშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 22 ივლისის №01-01-36358-20 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქ. N22-ში მდებარე ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.18.03.068.003) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი D=50 მმ-იანი მიწისზედა მილსადენები.

ჩვენ თანახმა ვართ განახორციელოთ დაგეგმილი მშენებლობა, თუ აღნიშნულ გაზსადენთან მიმართებაში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება.

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

შეთანხმებულია
შპს თბილისი ენერჯი
LTD TBILISI ENERGY
სამუშაოების დაწყებამდე გამოძახებულ იქნას
შპს თბილისი ენერჯის წარმომადგენელი
ტელ: +995 (32) 237 56 88; +995 (32) 237 63 80
საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი
სარეგისტრაციო № 953
30/07 2020



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01202093019**
თარიღი: **27/07/2020**
პინი: **2089**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს ოლდ სითი გრუპი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405280306
მისამართი: საქართველო, თბილისი, ლ. ასათიანის ქ.

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთს (საკ.კოდი:01.18.03.068.003) კვეთს გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა, აქედან გამომდინარე შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი" წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ შემდგომში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, თუ უზრუნველყოფილი იქნება თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და დაცული იქნება დაცვის ზონები შენობა/ნაგებობასა და ელ.სადენს შორის (დასაშვები მანძილი შენობა/ ნაგებობების, ხაზობრივ ნაგებობასთან მიმართებაში უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა), ხოლო შემდგომში (სამშენებლო სამუშაოების პროცესში) აუცილებლობის შემთხვევაში გარე განათების ელ. ქსელის კორექტირება (გადატანა/ დემონტაჟი) გადაწყვეტილი იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან და შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფთან" შეთანხმებით. აქვე ავღნიშნავთ, რომ გარე განათების ხაზობრივი ნაგებობის კორექტირების (საჭიროებიდან გამომდინარე) სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას თქვენი სახსრებით

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე (გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შეთანხმებულია
შპს "თბილსერვისის ჯგუფი"
სამუშაოების დაწყების წინ დაუკავშირდით
ჩვენს წარმომადგენელს
415997675
03 08 2020 წ.

საპროექტო შენობა

სპ. №01.18.03.068.003

№ 3617/24-8 "03" 08 2020

შპს „ოლდ სითი გრუპი“
შპს „ოლდ სითი გრუპი“-ს
დირექტორს: გიორგი თავდიშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენგან შემოსული წერილის (N 01/07 –2020; 22.07.2020) პასუხად, გაცნობებთ რომ წერილში მითითებულ საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება სს „სილქნეტი“-ს კუთვნილი კომუნიკაცია, რომელიც თანდართულ ნახაზზე დატანილია წითელი ფერით. სს ”სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აღნიშნული სამუშაოები შესრულდეს თანდართული დანართი #1-ის სრული დაცვით.

სამუშაოების დაწყების წინ აუცილებლად გამოძახებული იქნას სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელი ოპერატიული მართვა: 2 95 00 29; 2 93 27 40.

დანართი: 1. შეთანხმების დანართი #1

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

საქართველო, 0160 თბილისი, ლ. გოთუას ქ. 3
ტელ.: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001

3 L. Gotua Street, 0160 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 100000; Fax: (+995 32) 2 100001

ქ. თბილისი

შეთანხმება # 85810

დანართი #1

29 / 07 2020წ.

სს „სილქნეტი“ თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

- სს „სილქნეტის“ ხაზოვანი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში გაკეთდეს საკონტროლო შურფები და ხაზოვანი ნაგებობის უკიდურესი მარჯვენა და მარცხენა წერტილებიდან ორივე მხარეს 1-1 მეტრის პერიმეტრზე გათხრითი სამუშაოების წარმოება მოხდეს ხელით;
- სამუშაოების მსვლელობისას შენარჩუნებულ იქნას ხაზოვანი ნაგებობის სწორხაზოვნება;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდეს ხაზოვანი ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა;
- იმ შემთხვევაში, თუ ხაზოვანი ნაგებობა წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას სამშენებლო სამუშაოებისათვის ან/და სამშენებლო სამუშაოებისას არსებობს ამ კომუნიკაციების დაზიანების საშიშროება, მოხდეს შეთანხმება და მომზადდეს პროექტი არსებული წესით აღნიშნული კომუნიკაციების დროებით(შემდგომში პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით) ან მუდმივად გადატანის მიზნით;
- თუ სამუშაოების დაწყების მომენტში სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდება შეთანხმების გაცემის შემდგომ სს „სილქნეტის“ მიერ აშენებული ხაზოვანი ნაგებობა, შეჩერებულ იქნას სამუშაოები და შესაბამისი განცხადების საფუძველზე მოხდეს განმეორებით შეთანხმება არსებული წესით.
- იმ შემთხვევაში, თუ სს “სილქნეტი“-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:

  ა) დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

  ბ) აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს “სილქნეტის“ წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის (Info.Center@silknet.com) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრის საშუალებით.
- წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველჰყოს სს „სილქნეტი“-სთვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დაწყების ან/და სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.

შეთანხმება ძალაშია ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შესრულების შემთხვევაში:

1. სს „სილქნეტი“-ს თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ 24 სთ-ნი დაშვება აღნიშნულ ნაკვეთზე.
2. კომუნიკაციის დაზიანების აღდგენის შემდეგ მიწის საფარის პირვანდელი სახის დაბრუნებას შეასრულებს ნაკვეთის მეპატრონე.
3. კომუნიკაციის დაზიანების აღდგენისთვის, იმ შემთხვევაში თუ საჭირო იქნება კომუნიკაციის გადატანა, კომუნიკაციის გადატანის ხარჯებს უზრუნველყოფს ნაკვეთის მეპატრონე.

სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 29.07.2020



საპროექტო
შენობა
სკ. №01.18.03.068.003
33.90
0.37
1.36
310,5 m²
3ქს
2ქს
417.89
417.05
416.09
415.54
418.33
417.84
417.32
417.97
418.27
417.34
416.23
416.35
416.37
418.45
417.87
417.69
416.79
416.91
418.52
417.96
418.55
418.95
418.54
419.30
417.31
417.81
417.93
419.26
418.24
419.51
419.27
419.23
419.92
419.98
420.09
420.12
420.60
421.44
420.67
421.40
421.19
421.48
425.77
420.81
423.40
423.72
423.52
423.87
426.25
425.62
427.16
425.71